სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი 2025 წლის 25 დეკემბერი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1. ნინო ფარესაშვილი 2. საბა გოგიბერიძე 3. ლუკა გიორგობიანი 4. გიორგი გოროზია 5. ნიკა სამხარაძე 6. ამირან ბიბილაშვილი 7. მარიამ ახალკაციშვილი 8. მაკა მურვანიძე 9. ლუკა გერგედავა 10. მაია ივანიძე 11. ირა აქუბარდია 12. ნინო გოგნიაშვილი 13. ანი ქიტიაშვილი 14. ნათია სვანიძე 15. ალექსანდრე გაბაშვილი 16. ლუკა ტაბიძე 17. ვლადიმერ გამსახურდია 18. ლილი მამუკაშვილი 19. ნინი ჯავახიშვილი 20. ვლადიმერ მარგველაშვილი 21. თინა ქიტუაშვილი 22. ია კირვალიძე 23. ანასტასია ზაქარიაძე 24. თეა ქარჩავა 25. ნათია ფიფია 26. ლუკა მამალაშვილი 27. მარიამ მახარობლიძე 28. ზურაბ გაიპარაშვილი 29. ნინო პავლიაშვილი 30. ციური სუმბაძე 31. სოფიო ხუციშვილი 32. ლალი ახალბედაშვილი 33. ადა ნემსაძე 34. თეიმურაზ მაჩაიძე 35. თამილა ჩალაძე 36. გიორგი მამარდაშვილი 37. ედიშერ ფუტკარაძე 38. მარინე ხუციშვილი 39. გვანცა გვანცელაძე 40. ნოდარ ლომიძე 41. თეა შავაძე 42. ალექსი პაჭკორია (დანართი 1);

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. თეიმურაზ ბარქაძე 2.ცისამარ გავაშელი 3. ვასილ გონაშვილი 4. როზეტა გუჯეჯიანი 5. ირაკლი დვალიძე 6. თამარ ვეფხვაძე 7. ლია თოთლაძე 8. გიორგი ლომინაძე 9. ვახტანგ მაღრაძე 10. მარინე მაჭავარიანი 11. ელიზბარ ნადარაია 12. ლევან საბაური 13. ზაქარია ქიტიაშვილი 14. კახაბერ ქოიავა 15. რამაზ ქურდაძე 16. შარაშიძე ნინო 17. ალექსანდრე შენგელაია 18. თემურ შენგელია 19. ედიშერ ცხადაძე 20. მაია ძაგანია 21. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2).

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს დაემატა კიდევ 2 (ორი) საკითხი, რომლებიც განხილული და დამტკიცებული იქნა აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

მას შემდეგ, რაც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დამატებითი საკითხების დღის წესრიგში ასახვას, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამატკიცებლად წარმოადგინა კორექტირებული დღის წესრიგი შემდეგი სახით,

**დღის წესრიგი:**

1.„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, შეთავსებით საქმიანობაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #90/2025 დადგენილების დამტკიცების შესახებ ( მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #89/2025 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ნათია ხულუზაური);

4.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე).

**დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად**

1.აღინიშნა, რომ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით, საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულ პირს შეთავსებით, რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს შესრულების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.
კანონის ამ მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ფოთოლაშვილის განცხადებები, შეთავსებით ანაზღაურებით საქმიანობაზე თანხმობის მისაღებად.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილებები:**

**ა)** „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ლაშა საღინაძეს, 2025 წლის პირველი ნოემბრიდან 2026 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდში, განახორციელოს ქვემოთჩამოთვლილი ანაზღაურებადი საქმიანობა:

1. მსოფლიო ბანკის პროექტში -კომპანია Seatig Inc.(a New York corporacion) - ის უმაღლესი განათლების დაფინანსების ექსპერტის (კონტრაქტორი) პოზიციაზე;
2. აზიის განვითარების ბანკის პროექტში (საშუალო განათლების სექტორის განვითარების პროგრამა-სწავლის შედეგის გაუმჯობესება) - შპს პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის კონსულტანტის პოზიციაზე;
3. ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე შემდეგ საერთაშორისო პროექტებში: ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ (პროგრამული კოდი 32 04 02 08) „ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში პროგრამის მონაწილედ; ბ) საერთაშორისო პროექტის „Development of Soft Skills at Higher Education Instituions of Armenia and Georgia in Compliance with 21 st Century Labour Market Requirements - რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“ პროექტის ტრენერად; გ) საერთაშორისო პროექტის „პასუხისმგებლიანი და გავლენის მქონე უნივერსიტეტები, როგორც მდგრადი განვითარებისა და მეწარმეობის კატალიზატორები საქართველოში [RiHEI] ლოკალურ მენეჯერად (დანართი 3);

**ბ)**„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შოთა ფოთოლაშვილს, 2025 წლის პირველი ნოემბრიდან 2026 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდში, განახორციელოს ანაზღაურებადი საქმიანობა, იურიდიულ ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგისა და „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის“ (წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციებზე (დანართი 4).

**2.** დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #90/2025 დადგენილება - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის -

ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“. როგორც მომხსენებელმა, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 დეკემბრის #560 დადგენილებით, განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში მოქმედ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სტრუქტურულ ერთეულად მიერთება, აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის გზით. რეორგანიზაციის შედეგად, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა სსიპ – ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის უფლებამონაცვლედ. ამ დადგენილების აღსრულების მიზნით, საჭიროა რიგი საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #90/2025 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 5);

**3.** დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #89/2025 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა, ცენტრის წარმომადგენელმა ნათია ხულუზაურმა აღნიშნა, ცენტრის ეფექტური მუშაობისთვის საჭიროა რამდენიმე ცვლილების შეტანა, რომელიც მეტად მოვა შესაბამისობაში არსებულ რეალობასთან და დაეხმარება ცენტრს შემდგომ განვითარებაში. კერძოდ, ახალი დებულების პროექტის მიხედვით, „სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს“ ეწოდება „სამეცნიერო საბჭო“, დაზუსტებულია სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი, საბჭოს წევრებს ენიჭებათ უფლებამოსილება, მოთხოვნის შემთხვევაში მოიწვიონ სხდომა, დაზუსტებულია სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და ცენტრის სტრუქტურაში არსებული „მენეჯერის“

თანამდებობა ჩანაცვლებულია „მკვლევრის“ პოზიციით. ასევე დებულებამ განიცადა რიგი ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.
აღინიშნა, რომ დებულების ცვლილების პროექტი შეთანხმებულია იურიდიულ, საფინანსო დაპერსონალის მართვის დეპარტამენტებთან.
**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის #89/2025 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 6);

**4.** უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი. მომხსენებელმა წარმომადგენლობითი, აკადემიური საბჭოს წევრებსა და სხდომაში მონაწილე პირებს დეტალური გააცნო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია (წარმოდგენილი იქნა პრეზენტაცია).
აღინიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია: ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის'', ,,პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,'' უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'' და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
2026 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2026 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების, სტუდენტთა ხელშეწყობის, კულტურულ სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცების, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, სახელმძღვანელოების შექმნისათვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
ხაზი გაესვა, რომ 2026 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით

მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 118 292 474 ლარით.
რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს (ხარჯებს) მან შეადგინა 124 446 792 ლარი. საკუთარი შემოსავლების ნაწილში მოსალოდნელი შემოსავალი შეადგენს გარდამავალი ნაშთის ჩათვლით 72 615 828 ლარს, ხოლო გადასახდელი- 80 383 744 ლარს. როგორც კანცლერმა აღნიშნა, დაფინანსების დღეს მოქმედი სისტემა არ იძლევა უნივერსიტეტისათვის აუცილებელი ხარჯების სრულყოფილად დაფინანსების საშუალებას, ასევე აღნიშნა, რომ წელს მედიცინის ფაკულტეტზე უცხოელი სტუდენტების შემცირებული რაოდენობის მიღება განხორციელდა, რაც სავარაუდოდ 2026 წელსაც გაგრძელდება.
შესაბამისად, კანცლერის განცხადებით, წარმოდგენილ ბიუჯეტში მკვეთრად შემცირებულია ადმინისტრაციული ხარჯები;
აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი გაწერილია პროგრამების მიხედვით და მიმოიხილა თითოეული მათგანი, ასევე ისაუბრა დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.
პრეზენტაციის მიმდინარეობისას, მომხსენებლის მიერ წარმოდენილი იქნა თსუ-ს ბიუჯეტის ანალიზი, ინფლაციის ვიზუალიზაცია, ადმინისტრაციული პერსონალის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია და აღინიშნა, რომ 2016 წელთან შედარებით კლება არის >300 ერთეული (25%). მომხსენებელმა განაცხადა, რომ შრომის ანაზღაურების წილი ბიუჯეტში არის 79%; აღინიშნა, რომ შემცირდა წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები, ასევე ხარჯები სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ფაკულტეტების, ასევე ცენტრალურ დონეზე. ისაუბრა ასევე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უპასუხა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ნათია ფიფიას, თეა ქარჩავასა და ნოდარ ლომიძის შეკითხვებს, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ დასვა კენჭისყრაზე.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული სახით (დანართი 7);

სხდომის დასასრულს, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ დაგეგმილი განათლების რეფორმის ფარგლებში, სამედიცინო განათლება არ გავა უნივერსიტეტის წიაღიდან და მიღებული იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება. ამასთან სხდომის მონაწილეებს დამდეგი 2026 წელი მიულოცა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



**დანართი 1**

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2025 წლის 25 დეკემბერი, #5 სხდომა)**

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი**

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

**სტუდენტები:**

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ლია მაჭავარიანი-

2. ამირან ბიბილაშვილი-

3. მარიამ ახალკაციშვილი-

4. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა -

## იურიდიული ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1.მაია ივანიძე-

2. ირა აქუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ქიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. რევაზ გაჩეჩილაძე -

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუპუნიძე-

3. ლუკა ტაბიძე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

ვლადიმერ გამსახურდია-

სტუდენტები:

1. ლილი მამუკაშვილი –

2. ნინი ჯავახიშვილი -

## მედიცინის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი მარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

**სტუდენტები:**

1.ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. ლუკა მამალაშვილი-

3. მარიამ ბაღათურია -

4. მარიამ მახარობლიძე –

5. ქეთევან სტურუა –

6. ქეთევან ჭეიშვილი -

**საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა**

ზურაბ გაიპარაშვილი-

**ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა**

ნინო პავლიაშვილი-

**ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

ციური სუმბაძე-

**ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი**

სოფიო ხუციშვილი-

**კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

ლალი ახალბედაშვილი-

**შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი**

ადა ნემსაძე-

**ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი**

თეიმურაზ მაჩაიძე-

**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

თამილა ჩალაძე-

**ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი**

გიორგი მამარდაშვილი-

**თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი**

ედიშერ ფუტკარაძე-

**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი-

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

მარინე ხუციშვილი-

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

ეთერ კაკულია-

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცა გვანცელაძე-

**მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი**

ნოდარ ლომიძე-

**ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**

თეა შავაძე-

**ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი**

ალექსი პაჭკორია-

წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი №5

დანართი 2

სია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია (2025 წლის 25 დეკემბერი, N5 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ამირხანაშვილი ივანე -
3. ბაქრაძე თეიმურაზ -
4. გაგოშიძე თამარ -
5. გავაშელი ცისმარი -
6. გონაშვილი ვასილ -
7. გუჯეჯიანი როზეტა -
8. დვალიძე ირაკლი -
9. ეფრემიძე ლაშა -
10. ვეფხვაძე თამარ -
11. ზოიძე თამარ -
12. თოთლაძე ლია -
13. ლომინაძე გიორგი -
14. მაღრაძე ვახტანგ -
15. მაჭავარიანი მარინე -
16. ნადარაია ელიზბარ -
17. საბაური ლევან -

18. სადრაძე ნინო -

19. ქიტიაშვილი ზაქარია -

20. ქოიავა კახაბერ -

21. ქურდაძე რამაზ -

22. შარაშიძე ნინო -

23. შენგელაია ალექსანდრე -

24. შენგელია თემურ -

25. ცისკარიძე ალექსანდრე -

26. ცხადაძე ედიშერ -

27. ძაგანია მაია -

28. წერეთელი მარი -

29. ხუციშვილი ქეთევან -

წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი №5, დანართი 3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობით საბჭოს

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რათა მომცეთ თანხმობა განვახორციელო ანაზღაურებადი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტებში მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან ძირითადი საქმიანობის განხორციელების შემდგომ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ (პროგრამული კოდი 32 04 02 08) „ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში პროგრამის მონაწილედ.

2. საერთაშორისო პროექტის „Development of Soft Skills at Higher Education Instituions of Armenia and Georgia in Compliance with the 21 st Century Labour Market Requirements - რბილი უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“ პროექტის ტრენერად.

3. საერთაშორისო პროექტის „პასუხისმგებლიანი და გავლენის მქონე უნივერსიტეტები, როგორც მდგრადი განვითარებისა და მეწარმეობის კატალიზატორები საქართველოში [RiHEI] ლოკალურ მენეჯერად.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე

23.12.2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის

წარმომადგენლობით საბჭოს

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მომცეთ საქმიანობა შემდეგ პოზიციებზე:

1. მსოფლიო ბანკის პროექტში-კომპანია Seatig Inc.(a New York corporacion)- ის უმაღლესი განათლების დაფინანსების ექსპერტის (კონტრაქტორი) პოზიციაზე.

2. აზიის განვითარების ბანკის პროექტში (საშუალო განათლების სექტორის განვითარების პროგრამა-სწავლის შედეგის გაუმჯობესება) - შპს პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის კონსულტანტის პოზიციაზე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე

07.11.2025 წელი

N 27897/10 31.10.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

"კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით  გასცეთ თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შოთა ფოთოლაშვილის სახელზე, რათა ხსენებული პოზიციის დაკავების პარალელურად ვიყო მოწვეული პედაგოგი ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (კვირაში 6 საათის დატვირთვით) და მეკავოს „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის" (წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის) ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიცია.

პატივისცემით,

შოთა ფოთოლაშვილი

სამსახურის უფროსი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 90/2025 25 დეკემბერი 2025 წ.

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "უ" და „ღ" ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" და „წ" ქვეპუნქტების, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 დეკემბრის №34100/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის №14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი.

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

პროექტი

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - „ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის“ დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) „ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი" (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.

2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრს აქვს ბლანკი, რომლის გამოყენება უნდა მოხდეს ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

## მუხლი 2. ცენტრის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ცენტრის მიზანია:

ა) საქართველოსა და კავკასიის ერებს შორის სამეცნიერო კვლევების, კულტურულ და საზოგადოებრივ საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის ინიცირება და მხარდაჭერა;

ბ) კავკასიის რეგიონის კულტურის, ისტორიის, საზოგადოების, ეკონომიკისა და პოლიტიკის შესწავლა და, შესაბამისად, ცოდნის პოპულარიზაცია;

გ) ქართველი და კავკასიელი ერების დაახლოება, მათი კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია;

დ) კავკასიის ერებს შორის დიალოგის, ურთიერთთანხმობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა.

2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, აწყობს:

ა) კონფერენციებს, შეხვედრებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, ლექციებს და სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებს;

ბ) გამოფენებს, კონცერტებს, ფესტივალებს და სხვა კულტურულ ღონისძიებებს;

გ) კავკასიის სხვადასხვა ერების დიასპორულ ორგანიზაციებთან და კულტურულ ცენტრებთან ერთად ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს;

დ) ხელს უწყობს კავკასიის შესახებ ცოდნის პოპულარიზაციას, რეგიონის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, კავკასიურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობას.

3. ცენტრს უფლება აქვს:

ა) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, ითანამშრომლოს უცხოეთის მონათესავე საზოგადოებრივ და სამეცნიერო ცენტრებთან;

ბ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, ჩაატაროს სამეცნიერო სესიები და სემინარები;

გ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, მოაწყოს გამოფენები, კონფერენციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

დ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, მოაწყოს და მონაწილეობა მიიღოს შესაბამის ღონისძიებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

ე) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, მიიღოს სტაჟიორები;

ვ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, განახორციელოს სხვა ნებადართული საქმიანობა.

**მუხლი 3. ცენტრის მართვა და სტრუქტურა**

1. ცენტრის მართვის ორგანოა ცენტრის ხელმძღვანელი (დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი 4 წლის ვადით.

2. ცენტრის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ა) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, შეიმუშავებს ცენტრის წლიური დაფინანსებისა და ხარჯებისა პროექტს და წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ბ) მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, ზედამხედველობს ცენტრისათვის განკუთვნილ ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე;

გ) ადგენს ცენტრის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტს და წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდში გათვალისწინების მიზნით;

დ) განიხილავს და განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პოლიტიკას, ძირითად მიმართულებებსა და ზედამხედველობას უწევს ამ მიმართულებათა განხორციელებას;

ე) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, ადგენს ცენტრის დებულების/დებულების ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, განიხილავს და ამტკიცებს გრანტის მოსაპოვებლად ცენტრის სახელით მომზადებული პროექტების თემატიკას და პროექტების დონეს, აგრეთვე საქართველოს და უცხოეთის სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის საკითხებს;

ზ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, იღებს გადაწყვეტილებებს კონფერენციებზე, სემინარებზე თუ სხვა სახის ღონისძიებებზე ცენტრის წარმომადგენლის წარგზავნის შესახებ;

თ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, უფლებამოსილია დასვას საკითხი თანამშრომლების მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე;

ი) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

კ) კოორდინაციას უწევს ცენტრში განხორციელებად სამეცნიერო პროექტებს;

ლ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით, ამყარებს კავშირებს უნივერსიტეტის გარეთ - როგორც ადგილობრივ სამეცნიერო ინსტიტუციებთან, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან;

მ) უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. ცენტრის დირექტორის თავის მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (მივლინება, შვებულება და სხვ.), დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.

4. ცენტრისათვის უნივერისტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობათა დასახელებებია: ცენტრის დირექტორი, ცენტრის დირექტორის მოადგილე, მკვლევარი, სპეციალისტი.

**მუხლი 4. ცენტრის ქონება და დაფინანსება**

1. თავის ფუნქციათა სრულფასოვნად განსახორციელებლად უნივერსიტეტი ცენტრს უზრუნველყოფს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრისათვის მიზნობრივად გამოყოფილი ყოველწლიური დაფინანსება;
ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
გ) შემოწირულობები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
3. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრისათვის ამ დებულებით განსაზღვრულ მიზნებს.

**მუხლი 5. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6. ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY ACADEMIC COUNCIL

N 34273/10
25.12.2025

34273-10-3-202512251704

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის № 90/2025 დადგენილებას.

პატივისცემით,

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 89/2025 25 დეკემბერი 2025წ.

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) 2025 წლის 19 დეკემბრის №33531/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის №14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის №27/2019 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

**ა) პრეამბულის მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი (ჰაბი) საზოგადოებისათვის წარმოადგენს ევროპის აკადემიის ჰაბების ქსელის ნაწილს და ხელს უწყობს მეცნიერების

მენეჯმენტში ევროპული მიღწევების გამოყენებას ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისათვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისათვის.";

**ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**,,მუხლი 1. რეგულირების სფერო**

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი/თსუ) დამხმარე სამეცნიერო ერთეულის – ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) (შემდგომში – ცენტრი/ჰაბი) სტატუსს, საქმიანობის მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვისა და საქმიანობის წესებს.";

**გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,2. ცენტრი ევროპის აკადემიის ჰაბების ქსელის წევრია, იზიარებს ევროპის აკადემიის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს და განავრცობს აკადემიის ქსელის საქმიანობას რეგიონში ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს: სამხრეთ კავკასიას, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, ცენტრალურ და დასავლეთ აზიას (შემდგომში – რეგიონი).";

**დ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,დ) რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და პოპულარიზაცია, მათ შორის, ინოვაციური ტექნოლოგიებით;";

**ე) მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. ცენტრის სტრუქტურა ითვალისწინებს: სამეცნიერო საბჭოს (შემდგომში – „საბჭო"), აკადემიურ დირექტორს, აღმასრულებელ დირექტორსა და მკვლევარს.
2. ცენტრში, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრული ვადით, შესაძლებელია მოწვეული იქნას შტატგარეშე თანამშრომელი, ხელშეკრულების საფუძველზე.";

**ვ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**,,მუხლი 6. სამეცნიერო საბჭო**

1. ცენტრს ჰყავს სამეცნიერო საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომლის შემადგენლობასაც როტაციის შესაძლებლობის პრინციპითა და მოქმედი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ ევროპის აკადემიის წევრები (MAE) და აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ფუნქციონირებასა და საბჭოს სხდომებში.
2. საბჭო განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, მათ შორის, ცენტრის პრიორიტეტებს, სტრატეგიასა და ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს.

3. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში – თავმჯდომარე), რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები თავისი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. ახალი თავმჯდომარის წარდგენას ახდენს სამეცნიერო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი თავმჯდომარე დატოვებს თანამდებობას.
5. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
6. თავმჯდომარე იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომას. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირთაგან საბჭო ირჩევს სხდომის მდივანს.
7. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
8. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში.
9. საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამართოს და საკითხები განიხილოს დისტანციური ელექტრონული ან შერეული ფორმატით შემდეგ შემთხვევებში:
ა) თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით;
გ) საბჭოს წევრის ინიციატივით, თავმჯდომარისთვის მიმართვის საფუძველზე.
10. საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ან შერეული ფორმატით ჩატარების შემთხვევაში:
ა) სხდომის დღის წესრიგის, თარიღის/დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ საინფორმაციო მასალები წინასწარ ეგზავნებათ საბჭოს წევრებს მათ ელექტრონულ ფოსტაზე, გაცნობის მიზნით;
ბ) საბჭოს წევრები ინტერნეტის („ზუმის“ ან სხვა საკომუნიკაციო აპლიკაციის) საშუალებით, ერთდროული წვდომით მონაწილეობენ სხდომაში;
გ) სხდომის ოქმის პროექტი ეგზავნება მონაწილე საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით;
დ) იმ შემთხვევაში, თუ დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართული სხდომის მონაწილე რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს საკუთარი, განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში;
ე) საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართვის შემდგომ საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.";

**ზ) მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის აკადემიური დირექტორი, ევროპის აკადემიისა (MAE) და თბილისის რეგიონული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომელსაც ირჩევს სამეცნიერო საბჭო და მისი რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის

რექტორი.

2. აკადემიური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს, სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული, საბჭოს ერთ-ერთი წევრი.";

**თ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„ვ) ეწევა ცენტრისთვის პრიორიტეტული დაფინანსების წყაროების გამოვლენასა და ფონდების მოძიებისთვის საჭირო აქტივობებს;";

**ი) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„3. ცენტრის საშტატო ერთეულით განსაზღვრულ მესამე თანამშრომელს – მკვლევარს, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.";

**კ) მე-10 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მიზნობრივი დაფინანსება (სახელფასო ფონდი, სამივლინებო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწევრო გადასახადები და სხვადასხვა ხარჯები);
ბ) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული, ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, კომუნალური და საკომუნიკაციო, ასევე საოფისე ფართის მოწყობისა და კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის მიზნობრივი თანხები;".

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აკადემიკოსი ჯაბა სამუშია**
**რექტორი, პროფესორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

N 34274/10
25.12.2025

34274-10-3-202512251705

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის № 27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის № 89/2025 დადგენილებას.

პატივისცემით,

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი №5, დანართი 7

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026წლის ბიუჯეტის პროექტი**

| | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | | | 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამული კოდი | დასახელება | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | 2026 წელი საკუთარი სახსრები | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მათ შორის: გრანტები | | 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი | მათ შორის: საკუთარი სახსრები (გრანტების გარეშე) | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მათ შორის: გრანტები |
| 01 00 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევების, პროფესიული სწავლებისა და სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა (01 01+01 02+ 01 03 +01 04+ 01 05+01 06+01 07+01 08+01 09+0110+0111) | 124.446.792 | 80.383.744 | 30.800.049 | 13.263.000 | | 131.143.410 | 88.989.888 | 30.156.022 | 11.997.500 |
| | შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა | 1.425 | 0 | 1.425 | 0 | | 1.364 | 0 | 1.364 | 0 |
| 2 | ხარჯები | 114.578.632 | 78.356.744 | 24.172.888 | 12.049.000 | | 115.490.530 | 83.693.138 | 21.560.892 | 10.236.500 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 52.651.706 | 37.138.499 | 15.513.207 | 0 | | 50.873.783 | 37.625.239 | 13.248.544 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 47.087.013 | 40.168.977 | 4.184.036 | 2.734.000 | | 50.597.835 | 43.736.480 | 3.880.855 | 2.980.500 |
| 2.6. | გრანტები | 1.317.000 | 902.000 | 0 | 415.000 | | 1.859.200 | 1.483.200 | 0 | 376.000 |
| 2.7. | სოციალური უზრუნველყოფა | 135.000 | 120.000 | 15.000 | 0 | | 160.000 | 160.000 | 0 | 0 |
| 2.8. | სხვა ხარჯები | 16.274.803 | 4.275.058 | 4.199.745 | 7.800.000 | | 14.879.083 | 4.912.990 | 4.266.093 | 5.700.000 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.868.161 | 2.027.000 | 6.627.161 | 1.214.000 | | 15.652.880 | 5.296.750 | 8.595.130 | 1.761.000 |
| 01 01 | უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება | 25.549.502 | 25.549.502 | 0 | 0 | ეს | 27.010.549 | 27.010.549 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 25.099.502 | 25.099.502 | 0 | 0 | | 26.377.740 | 26.377.740 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 6.346.920 | 6.346.920 | 0 | 0 | | 6.853.760 | 6.853.760 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 16.006.582 | 16.006.582 | 0 | 0 | | 16.522.980 | 16.522.980 | 0 | 0 |
| 2.6. | გრანტები | 130.000 | 130.000 | 0 | 0 | | 95.000 | 95.000 | 0 | 0 |
| 2.7. | სოციალური უზრუნველყოფა | 120.000 | 120.000 | 0 | 0 | | 160.000 | 160.000 | 0 | 0 |
| 2.8. | სხვა ხარჯები | 2.496.000 | 2.496.000 | 0 | 0 | | 2.746.000 | 2.746.000 | 0 | 0 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 450.000 | 450.000 | 0 | 0 | | 632.809 | 632.809 | 0 | 0 |
| 01 01 01 | ადმინისტრირება | 21.322.890 | 21.322.890 | 0 | 0 | | 22.466.471 | 22.466.471 | 0 | 0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ხარჯები | 21.322.890 | 21.322.890 | 0 | 0 | 22.466.471 | 22.466.471 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 5.909.520 | 5.909.520 | 0 | 0 | 6.475.450 | 6.475.450 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 12.757.370 | 12.757.370 | 0 | 0 | 13.195.021 | 13.195.021 | 0 | 0 |
| 2.6. | გრანტები | 40.000 | 40.000 | 0 | 0 | 5.000 | 5.000 | 0 | 0 |
| 2.7. | სოციალური უზრუნველყოფა | 120.000 | 120.000 | 0 | 0 | 160.000 | 160.000 | 0 | 0 |
| 2.8. | სხვა ხარჯები | 2.496.000 | 2.496.000 | 0 | 0 | 2.631.000 | 2.631.000 | 0 | 0 |
| 01 01 02 | **საბიბლიოთეკო რესურსები** | 189.000 | 189.000 | 0 | 0 | 197.000 | 197.000 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 119.000 | 119.000 | 0 | 0 | 107.000 | 107.000 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 119.000 | 119.000 | 0 | 0 | 107.000 | 107.000 | 0 | 0 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 70.000 | 70.000 | 0 | 0 | 90.000 | 90.000 | 0 | 0 |
| 01 01 03 | **საგამომცემლო საქმიანობა** | 804.920 | 804.920 | 0 | 0 | 929.840 | 929.840 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 784.920 | 784.920 | 0 | 0 | 879.840 | 879.840 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 207.840 | 207.840 | 0 | 0 | 187.840 | 187.840 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 577.080 | 577.080 | 0 | 0 | 692.000 | 692.000 | 0 | 0 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 20.000 | 20.000 | 0 | 0 | 50.000 | 50.000 | 0 | 0 |
| 01 01 04 | **საზოგადოებასთან ურთიერთობა** | 209.000 | 209.000 | 0 | 0 | 326.000 | 326.000 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 209.000 | 209.000 | 0 | 0 | 316.000 | 316.000 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 209.000 | 209.000 | 0 | 0 | 316.000 | 316.000 | 0 | 0 |
| 01 01 05 | **ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა** | 230.200 | 230.200 | 0 | 0 | 380.000 | 380.000 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 230.200 | 230.200 | 0 | 0 | 380.000 | 380.000 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 140.200 | 140.200 | 0 | 0 | 175.000 | 175.000 | 0 | 0 |
| 2.6. | გრანტები | 90.000 | 90.000 | 0 | 0 | 90.000 | 90.000 | 0 | 0 |
| 01 01 06 | **უწყვეტი განათლება** | 308.040 | 308.040 | 0 | 0 | 274.040 | 274.040 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 308.040 | 308.040 | 0 | 0 | 274.040 | 274.040 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 128.040 | 128.040 | 0 | 0 | 108.040 | 108.040 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 180.000 | 180.000 | 0 | 0 | 166.000 | 166.000 | 0 | 0 |
| 01 01 07 | **გამოცდების ორგანიზება** | 680.000 | 680.000 | 0 | 0 | 562.046 | 562.046 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 680.000 | 680.000 | 0 | 0 | 562.046 | 562.046 | 0 | 0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 680.000 | 680.000 | 0 | 0 | 562.046 | 562.046 | 0 | 0 |
| 01 01 08 | **ინოვაციების ხელშეწყობა** | 179.260 | 179.260 | 0 | 0 | 299.069 | 299.069 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 169.260 | 169.260 | 0 | 0 | 183.260 | 183.260 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 53.520 | 53.520 | 0 | 0 | 53.520 | 53.520 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 115.740 | 115.740 | 0 | 0 | 129.740 | 129.740 | 0 | 0 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.000 | 10.000 | 0 | 0 | 115.809 | 115.809 | 0 | 0 |
| 01 01 09 | **სტუდენტური კაფეტერია** | 1.001.192 | 1.001.192 | 0 | 0 | 992.902 | 992.902 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 651.192 | 651.192 | 0 | 0 | 630.902 | 630.902 | 0 | 0 |
| 2.1. | შრომის ანაზღაურება | 48.000 | 48.000 | 0 | 0 | 28.910 | 28.910 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 603.192 | 603.192 | 0 | 0 | 601.992 | 601.992 | 0 | 0 |
| 31. | არაფინანსური აქტივების ზრდა | 350.000 | 350.000 | 0 | 0 | 362.000 | 362.000 | 0 | 0 |
| 01 01 10 | **შესრულებული სამუშაოს ფარგლებში, მიღებული შემოსავლებიდან გაწეული ხარჯები** | 625.000 | 625.000 | 0 | 0 | 583.181 | 583.181 | 0 | 0 |
| 2 | ხარჯები | 625.000 | 625.000 | 0 | 0 | 578.181 | 578.181 | 0 | 0 |
| 2.2. | საქონელი და მომსახურება | 625.000 | 625.000 | 0 | 0 | 578.181 | 578.181 | 0 | 0 |
